

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	9
6. საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. ფინანსური შემოსავალი	9
9. ფინანსური ხარჯი	10
10. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	10
11. ძირითადი საშუალებები	11
12. საინვესტიციო ქონება.....	12
13. გაცემული სესხები	12
14. მარაგები	12
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
16. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
17. კაპიტალი	13
18. მიღებული სესხები	13
19. საგადასახადო ვალდებულება.....	14
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2022	2021
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	3,629,989	2,878,841
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		-	74,245
საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	6	(1,077,419)	(1,499,713)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	(72,966)
საერთო მოგება		2,552,570	1,380,407
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(458,262)	(703,673)
საოპერაციო მოგება		2,094,308	676,734
ფინანსური შემოსავალი	8	1,534,596	1,235,202
ფინანსური ხარჯი	9	(2,030,546)	(1,646,425)
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	10	2,832,323	2,849,554
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		20,095	15,769
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,649)	(278,311)
მოგება დაბეგვრამდე		4,447,127	2,852,523
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		4,447,127	2,852,523
წლის სრული მოგება მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		4,447,127	2,852,523
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		-	-
წლის სრული მოგება		4,447,127	2,852,523

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 24 ნოემბერს:

ლევან კვინიკაძე
დირექტორი

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2022	2021
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	3,629,989	2,878,841
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		-	74,245
საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	6	(1,077,419)	(1,499,713)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-	(72,966)
საერთო მოგება		2,552,570	1,380,407
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(458,262)	(703,673)
საოპერაციო მოგება		2,094,308	676,734
ფინანსური შემოსავალი	8	1,534,596	1,235,202
ფინანსური ხარჯი	9	(2,030,546)	(1,646,425)
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	10	2,832,323	2,849,554
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		20,095	15,769
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,649)	(278,311)
მოგება დაბეგვრამდე		4,447,127	2,852,523
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		4,447,127	2,852,523
წლის სრული მოგება მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		4,447,127	2,852,523
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		-	-
წლის სრული მოგება		4,447,127	2,852,523

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 24 ნოემბერს:



ლევან კვინიკაძე
დირექტორი

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2021 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	783,053	727,017
საინვესტიციო ქონება	12	9,581,194	9,208,022
გაცემული სესხები	13	20,050,708	13,284,022
გუდვილი		1,206,022	1,206,022
სულ გრძელვადიანი აქტივები		31,620,977	24,425,083
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	910,294	561,942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	2,536,156	2,331,254
ფული და ფულის ექვივალენტები	16	41,508	4,528
სულ მიმდინარე აქტივები		3,487,958	2,897,724
სულ აქტივები		35,108,935	27,322,807
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	-	-
დაუფარავი ზარალი	17	2,964,761	(1,482,366)
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		2,964,761	(1,482,366)
არამაკონტროლებელი წილი		-	-
სულ კაპიტალი		2,964,761	(1,482,366)
გრძელვადიანი სესხები			
	18	26,029,706	25,326,413
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,029,706	25,326,413
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	19	85,556	303,364
მოკლევადიანი სესხები	18	5,262,126	2,534,827
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20	766,786	640,569
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,114,468	3,478,760
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		35,108,935	27,322,807

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020	43,160	(4,334,889)	(4,291,729)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	(43,160)	-	(43,160)
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	2,852,523	2,852,523
31 დეკემბერი 2021	-	(1,482,366)	(1,482,366)
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	4,447,127	4,447,127
31 დეკემბერი 2022	-	2,964,761	2,964,761

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

ადია ბიზნეს ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2017 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405238853. შპს „ადია ბიზნეს ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნინო ზაქაძე.

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	2022	2021
შპს „ბელინსკის 10ა“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%	100%
შპს „აბანოთუბანი“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
ტრანსპორტი	5
სხვა	4-10

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეწონილი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან

	2022	2021
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	3,409,306	2,772,100
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	220,683	106,741
სულ შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	3,629,989	2,878,841

6. საიჯარო მომსახურების თვითღირებულება

	2022	2021
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(540,053)	(574,257)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(279,378)	(750,089)
კომუნალური მომსახურების თვითღირებულება	(257,988)	(175,367)
სულ საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	(1,077,419)	(1,499,713)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(196,475)	(284,791)
საგადასახადო ხარჯი	(85,582)	(133,329)
მომსახურების ხარჯები	(47,698)	(64,585)
ცვეთა და ამორტიზაცია	(33,796)	(17,336)
საკონსულტაციო ხარჯი	(24,469)	(51,715)
დაზღვევის ხარჯი	(15,714)	(17,239)
შენობის კეთილმოწყობის ხარჯი	(5,186)	(24,453)
საბანკო ხარჯები	(4,509)	(2,994)
საიჯარო ხარჯი	(4,068)	(60,979)
საოფისე ხარჯი	(1,821)	-
საპენსიო ხარჯი	-	(1,186)
კომუნიკაციის ხარჯები	-	(834)
ავტომობილის ხარჯები	-	(432)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(38,944)	(43,800)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(458,262)	(703,673)

8. ფინანსური შემოსავალი

1,534,596 ლარის ოდენობის (2021: 1,235,202 ლარი) საპროცენტო შემოსავალი სრულად უკავშირდება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს.

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ფინანსური ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(1,383,234)	(1,597,542)
საპროცენტო ხარჯი იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(632,104)	(33,675)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხებზე	(15,208)	(15,208)
სულ ფინანსური ხარჯები	(2,030,546)	(1,646,425)

10. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2022	2021
მიღებული სესხები	5,604,825	3,736,910
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,821	(819)
გაცემული სესხები	(2,476,550)	(796,012)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(249,789)	(80,201)
ფული და ფულის ექვივალენტები	(67,984)	(10,324)
სულ მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	2,832,323	2,849,554

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	ჯამი
31 დეკემბერი 2020	115,039	361,770	31,712	40,655	4,959	554,135
შემოსვლა წლის განმავლობაში	16,301	535,984	-	16,205	415	568,905
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	131,340	897,754	31,712	56,860	5,374	1,123,040
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	254,842	65,377	-	153	320,372
გასვლა	-	(12,610)	(61,140)	-	-	(73,750)
31 დეკემბერი 2022	131,340	1,139,986	35,949	56,860	5,527	1,369,662
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020	(43,082)	(200,461)	(9,175)	-	(1,424)	(254,142)
წლის დარიცხული ცვეთა	(13,936)	(120,551)	(6,343)	-	(1,051)	(141,881)
გასვლები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(57,018)	(321,012)	(15,518)	-	(2,475)	(396,023)
წლის დარიცხული ცვეთა	(13,920)	(169,238)	(9,057)	-	(919)	(193,134)
გასვლები	-	-	2,548	-	-	2,548
31 დეკემბერი 2022	(70,938)	(490,250)	(22,027)	-	(3,394)	(586,609)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	74,322	576,742	16,194	56,860	2,899	727,017
31 დეკემბერი 2022	60,402	649,736	13,922	56,860	2,133	783,053

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2020	961,655	10,584,564	11,546,219
შემოსვლა წლის განმავლობაში	167,365	-	167,365
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	1,129,020	10,584,564	11,713,584
შემოსვლა წლის განმავლობაში	1,105,341	-	1,105,341
გასვლა	(162,987)	-	(162,987)
31 დეკემბერი 2022	2,071,374	10,584,564	12,655,938
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2020	-	(1,965,330)	(1,965,330)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(540,232)	(540,232)
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(2,505,562)	(2,505,562)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(569,182)	(569,182)
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(3,074,744)	(3,074,744)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	1,129,020	8,079,002	9,208,022
31 დეკემბერი 2022	2,071,374	7,509,820	9,581,194

13. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
იურიდიულ პირზე გაცემული სესხები	9.5%-11%-12%	დოლარი	15,885,393	9,572,233
იურიდიულ პირზე გაცემული სესხები	12%-14%	ლარი	4,165,315	3,711,789
სულ გაცემული სესხები			20,050,708	13,284,022

14. მარაგები

მარაგების მუხლი სრულად წარმოადგენს სარემონტო სამუშაოებისთვის შესყიდულ მასალებს

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,720,852	1,531,281
გადახდილი ავანსები	815,304	798,336
მოთხოვნების საწარმოს პერსონალის მიმართ	-	1,637
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,536,156	2,331,254

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	40,957	524
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	533	3,986
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	18	18
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	41,508	4,528

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და 2022 წლის ბოლოს შეადგენს 0 ლარს (2021: 0 ლარი). ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

18. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	8.5%-11%	დოლარი	4,014,875	1,447,027
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	8.5%-11%	ევრო	882,969	1,030,266
იურიდიული პირებისგან აღებული სესხი	10-11.5%	დოლარი	216,728	32,240
იურიდიული პირებისგან აღებული სესხი	12%	ლარი	126,733	-
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	4%	ევრო	20,821	25,294
სულ მიღებული მოკლევადიანი სესხები			5,262,126	2,534,827

შპს “ადია ბიზნეს ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მიღებული სესხები (გაგრძელება)

გრძელვადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	8.5%-11%	დოლარი	12,927,876	16,674,267
იურიდიული პირებისგან აღებული სესხი	10%-11.5%	დოლარი	7,497,041	121,011
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	4%	ევრო	2,864,690	8,336,996
იურიდიული პირებისგან აღებული სესხი	12%	ლარი	2,670,568	13,083
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	12%	ლარი	69,531	181,056
სულ მიღებული გრძელვადიანი სესხები			26,029,706	25,326,413

19. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული ავანსები	443,644	359,598
სავაჭრო ვალდებულებები	261,916	280,885
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	61,226	86
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	766,786	640,569